შეთანხმება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა

და

ი. ბ. ა. „დელისი 3“ - ს

შორის

თბილისი

2017 წელი

წარმოდგენილი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდის გადავადების თაობაზე შეთანხმება (შემდგომში „შეთანხმება“) დადებულია 2017 წლის 9 ოქტომბერს („ძალაში შესვლის თარიღი“)

ერთის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა (შემდგომში “მთავრობა“), წარმოდგენილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის დავით ნარმანიას სახით,

მეორეს მხრივ, ი. ბ. ა. „დელისი 3“ (შემდგომში „ამხანაგობა“), წარმოდგენილი ი. ბ. ა. „დელისი 3“-ის თავმჯდომარის გიზო გოგოძის სახით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 28 სექტემბრის №36.17.694 განკარგულების შესაბამისად დებენ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. შეთანხმების მიზანი

შეთანხმების მიზანს წარმოადგენს ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დელისის ქუჩა №3-ში (საკადასტრო კოდი: №01.10.15.006.048), მშენებლობის დროულად დასრულების, ქალაქის განვითარებისა და იერსახის გაუმჯობესების პროცესების ხელშეწყობა.

2. შეთანხმების საგანი და მოქმედების სფერო

შეთანხმების საგანია „ქ. თბილისში, დელისის ქ. №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი შენობისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ” ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 5 ივლისის №1378 განკარგულებით და „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დელისის ქუჩა №3-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.10.15.006.048), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 ივნისის №1-1447 ბრძანების მე-3 პუნქტის შესაბამისად გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის 2019 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით განწილვადება წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, ამ შეთანხმების დანართით გათვალისწინებული გრაფიკით.

3. მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

3.1. შეთანხმების განხორციელების მიზნით, წინამდებარე შეთანხმებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მთავრობა უზრუნველყოფს:
ამხანაგობის მიერ „ქ. თბილისში, დელისის ქ. №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი შენობისთვის ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 5 ივლისის №1378 განკარგულებით და „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დელისის ქუჩა №3-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.10.15.006.048), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 ივნისის №1-1447 ბრძანების მე-3 პუნქტის შესაბამისად გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის განწილვადებას 2019 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

3.2. შეთანხმების განხორციელების მიზნით, წინამდებარე შეთანხმებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამხანაგობა უზრუნველყოფს:
შენობა–ნაგებობის მშენებლობის დასრულებასა და არაუგვიანეს 2020 წლის 01 იანვრისა შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე უფლებამოსილ ორგანოში განცხადების წარდგენას და კისრულობს ვალდებულებას, რომ შენობა-ნაგებობა დააკმაყოფილებს ექსპლუატაციაში მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

4. შეთანხმების გაუქმება

შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში წინამდებარე შეთანხმება გაუქმდება და ამხანაგობას დაეკისრება ვალდებულება შეთანხმების გაუქმებიდან 1 თვის ვადაში გადაიხადოს მოსაკრებელი.

5. ცვლილებების და დამატებების შეტანა

5.1. შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

5.2. შეთანხმება შედგენილია 2 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე.

ხელმოწერილია:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

დავით ნარმანია



ხელმოწერილია:

ი. ბ. ა. „დელისი 3“-ის თავმჯდომარე

გიზო გოგოძე



დანართი

№	მოსაკრებლის გადახდის თარიღი	გადასახდელი თანხის ოდენობა
1	25/05/2018 წ	~~40 000 ლარი~~
2	25/06/2018 წ	~~40 000 ლარი~~
3	25/07/2018 წ	~~40 000 ლარი~~
4	25/08/2018 წ	~~40 000 ლარი~~
5	25/09/2018 წ	~~40 000 ლარი~~
6	25/10/2018 წ	~~40 000 ლარი~~
7	25/11/2018 წ	~~40 000 ლარი~~
8	25/12/2018 წ	~~40 000 ლარი~~
9	25/01/2019 წ	~~40 000 ლარი~~
10	25/02/2019 წ	~~40 000 ლარი~~
11	25/03/2019 წ	40 000 ლარი
12	25/04/2019 წ	40 000 ლარი
13	25/05/2019 წ	40 000 ლარი
14	25/06/2019 წ	40 000 ლარი
15	25/07/2019 წ	40 000 ლარი
16	25/08/2019 წ	40 000 ლარი
17	25/09/2019 წ	40 000 ლარი
18	25/10/2019 წ	40 000 ლარი
19	25/11/2019 წ	40 000 ლარი
20	25/12/2019 წ	646 084,17
	ჯამი	1 406 084,17 ლარი

მოგახსენებთ, რომ თქვენი სამსახურის მიერ ჩვენს მიერ შემოტანილ განცხადებაზე NAR1628114 სადაც საუბარი არის კ2 კოეფიციეტის მოსაკრებლის გადახდასთან დაკაშირებით, აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენს მიერ წარმოდგენილი იქნა ვრცელი განმარტებითი ბარათი სადაც სრულყოფილად არის დასაბუთებული, თუ რატომ ვერ მოხდა კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებული გრაფიკით. ასევე თქვენს მიერ ზემოთ ხსენებულ განცხადებაზე დადებულ შუალედურ პასუხში საუბარია იმასთან დაკავშირებით, რომ გადახდის გრაფიკი არ ითვალისწინებს კორექტირებას, რაშიც ვერ დაგეთანხმებით რადაგანაც შეთანხმებაში, რომელიც გაფორმებულია ი.ბ.ა „დელისი 3“-სა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის 2017 წლის სექტემბრის თვეში , აღნიშნული შეთანხმების მე-5 მუხლის 5.1 პუნქტი პირდაპირ ითვალისწინებს შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას. ჩვენს მიერ სწორედ არნიშნული შეთანხმების ზემოთ ხსენებული ჩანაწერიდან გამომდინარე მივმართეთ ქ. თბილისი მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით, შეთანხმებული გრაფიკის კორექტირებასთან დაკავშირებით 19.07.2018წ. N 19/01182011739-01, რომელ განცხადებაზედაც დღემდე არ გვაქვს პასუხი არც დადებითი და არც უარყოფითი, კვლავ უსაფუძვლოდ გვიწელავს ვადებს ქ. თბილისის მერია, რაც უფრო მეტად ამძიმებს ჩვენს მდგომარეობას, სამწუხაროდ არავინ არ ინტერესდება იმით, თუ რატომ ვერ ვახერხებთ კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდას და ან კიდევ სხვა დანარჩენი ვალდებულებების შესრულება, რომელ ხელშეწყობაზე და სიმარტივეზე საუბრობს ქ. თბილისის მერია როდესაც ორი წელიწადია მშენებლობის ნებართვა ვერ მიგვიღია უკვე ერთხელ შეთანხმებულ პროექტზე, რომელზედაც თავის დროზე გაცემული იყო მშენებლობის ნებართვა . ასეთ პირობებში როდესაც ორი წელი ვერ მივიღეთ მშენებლობის ნებართვა, რომელი კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდაზე გვესაუბრება არქიტექტურის სამსახური, როდესაც არანაირი გარანტია არ ქვაქვს, თუ როდის მივიღებთ მშენებლობის ნებართვას ან მივიღებთ თუ არა საერთოდ. რატომ არ ინტერესდება ქ, თბილისი მერიის შესაბამისი სამსახურები იმით, რომ ზემოთ ხსენებული პროექტის ფარგლებში გაკეთებულია განშლის ოქმი და უამრავი ადამიანის წინაშე ვალდებულება აქვს შესასრულებელი ი.ბ.ა „დელის 3“-ს და თუ მერია ასეთი ფორმით ხელს შეგვიშლის, საინტერესოა რა პასუხი ექნება იმ ადამიანებთან ვინც ჩვენი მხრიდან ელოდება სხვადასხვა ვალდებულებების შესრულებას.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, გასცეთ ნებართვა და მოქვცეთ შესაძლებლობა მოვახდინოთ გრაფიკით გათვალისწინებული მოსაკრებლის გადახდა ახალი გრაფიკის მიხედვით, რომლის გრაფიკიც თან ერთვის განმარტებით ბარათს, ანუ განგიმარტავტ რომ ამხანაგობა კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდას ვერ შეძლება 2019 წლის მარტის თცვემდე ხოლო შემდგომ კი ჩვენს მიერ ვადამოსული კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდა მოხდება მიმდინარე გრაფიკში გათვალისწინებულ თანხებით, ოთხი თვის განმავლობაში, კერძოდ კი 2019 წლის მარტის თვიდან დამატებით გადავიხდით 100 000 ლარს ანუ ოთხი თვის განმავლობაში გადავიხდით 140 000 ლარს, ხოლო დარჩენილ თანხას გრაფიკის მიხედვით ყოველთვიურად 40 000 ლარს თანხის სრულად გადახდამდე.

კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის განწილვადების გრაფიკი.

კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლი შეადგენს: 1,406,084,17 ლარს

მოთხოვნილი განწილვადების ვადა შეადგენს 12 თვეს.

მოსაკრებლის პირველი ეტაპის გადახდა გათვალისწინებულია 2019 წლის მარტის თვეში.

სრულად დაფარვა მოხდება 2019 წლის დეკემბრის ჩათვლით.

N	მოსაკრებლის გადახდის თარიღი	დადასახდელი თანხის მოცულობა თვის მიხედვით
1	25/03/2019 წ	140,000 ლარი
2	25/04/2019 წ	140,000 ლარი
3	25/05/2019 წ	140,000 ლარი
4	25/06/2019 წ	140,000 ლარი
5	25/07/2019 წ	40,000 ლარი
6	25/08/2019 წ	40,000 ლარი
7	25/09/2019 წ	40,000 ლარი
8	25/10/2019 წ	40,000 ლარი
9	25/11/2019 წ	40,000 ლარი
10	25/12/2019 წ	646,084,17 ლარი
	ჯამი:	1,406,084,17 ლარი